საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020143726886119

№ **31-04** **15 / თებერვალი / 2019 წ.**

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაჩუბეთსა და სოფელ რკონს შორის, მდინარე თეძამზე, თეძამის წყალსაცავის, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

,,ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაგრძელდეს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაჩუბეთსა და სოფელ რკონს შორის, მდინარე თეძამზე, თეძამის წყალსაცავის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების ადმინისტრაციული წარმოების ვადა 2019 წლის 18 მარტამდე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებული იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2)
3. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 12 თებერვლის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების სამმართველოს უფროსის თენგიზ კოდუას 14.02.2019 წლის N311/04 მოხსენებითი ბარათი.

უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გრიგოლ კაკაურიძე